

ქ.თბილისი

27.04.2022 წ

N11

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნი კახი ბექაურს

შპს „პალიტრანიუს“-ს

დირექტორის ავთანდილ წერეთლის

განცხადება

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ გასული წლის ანგარიშს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. შპს „პალიტრანიუს“-ის დაფინანსების წყარო(ები)ს გასულ წელს წარმოადგენდა შემოსავლები რეკლამიდან და კაპიტალი.
2. შპს „პალიტრანიუს“-ის თვითრეგულირების ორგანოში გასულ წელს მიღებულ იქნა 0 საჩივარი.
3. შპს „პალიტრანიუს“-ის გასულ წელს მიეცა 1 (ერთი) გაფრთხილება კომისიის მიერ, კომპანიის მიერ განხორციელებულია საქმიანობა კანონმდებლობისა და სამაუწყებლო კონცეფციის დაცვით.
4. მაუწყებლის თანამშრომელთა მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევას გასულ წელს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულ დარღვევათა პრევენციის მიზნით, მუდმივად ტარდება შეხვედრები და ხდება თანამშრომელთა ინფორმირება კანონის სიახლეების შესახებ, ასევე, სფეროში არსებული პრაქტიკის ანალიზი მაუწყებლის თანამშრომელთა შორის.
5. მაუწყებელი ყოველ კვარტალში უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებას, ტარდება შიდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების, მედიათეკის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. ასევე, მაუწყებელი ინფორმაციას აწვდის თანამშრომლებს საჯარო ლექციების შესახებ, რომლებსაც ესწრებიან თანამშრომლები. აღსანიშნავია, რომ ჩატარდა შიდა ტრენინგი მულტიმედია ჟურნალისტიკის მიმართულებით.

წინამდებარე წერილს დანართის სახით თან ერთვის აუდიტის დასკვნა.

პატივისცემით,

ავთანდილ წერეთელი

დირექტორი

